

შპს მაჟორ გეორგია

ს/კ 434171950

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს მაჟორ გეორგია

ს/კ 434171950

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
4. ძირითადი საშუალებები	14
5. არამატერიალური აქტივები	15
6. მარაგები	16
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
8. ფული და ფულის ექვივალენტები	16
9. მიღებული სესხები	17
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
11. საგადასახადო ვალდებულებები	18
12. შემოსავალი	18
13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	18
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18
15. ბალანსის შემდგომი მოვლენები	Error! Bookmark not defined.

შპს მაჟორ გეორგია

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59191	37005	52727
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	233595	242379	155819
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	41068	11698	324
მარაგები	287187	138693	112119
მზა პროდუქცია	287187	132761	112119
სხვა	0	5932	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	16142	17957	15918
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	969	969	1251
ძირითადი საშუალებები	147930	104985	32492
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	786082	553686	370650
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	386965	248657	119609
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6790	0	1113
საგადასახადო ვალდებულებები	11331	6903	11772
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	150000	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	27080
მიღებული გრანტები	0	0	0

სხვა ვალდებულებები	0	144	12152
სულ ვალდებულებები	555086	255704	171726
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2922	2922	36660
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	228074	295060	162264
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	230996	297982	198924
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	786082	553686	370650
სულ მოკლევადიანი აქტივები	637183	447748	336897
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	555086	225299	134292

შპს მაჟორ გეორგია

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

მოგება-ზარალის ანგარიშგება

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	5966345	4818153
საქონლის გაყიდვიდან	5966345	4818153
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-4663010	-3842685
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1303335	975468
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-607841	-374371
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-22961	-12423
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-2589	-1199
იჯარის ხარჯი	-65233	-56625
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-244209	-149973
სულ საოპერაციო ხარჯები	-942833	-594591
საოპერაციო მოგება	360502	380877
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-10083	-16474

მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-39229	-16054
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	311190	348349
მოგების გადასახადის ხარჯი	-56726	-30353
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	254464	317996
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	254464	317996
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	297982	198924
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-321450	-171999
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-13202
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-33737
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	230996	297982

შპს მაჟორ გეორგია

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	241616	313147
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-55845	-121905
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-155825	-206964
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	29946	-15722
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-7760	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	37005	52727
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	59191	37005

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მაჟორ გეორგია (434171950) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა საფუარით და სხვა სასურსათო ნედლეულით (NACE46383, NACE47290). კომპანია დაფუძნდა 2018 წელს. დამფუძნებელი, 100% - იანი წილის მფლობელი დაფუძნებიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე არის იდრის მუსაევი (C00691553), ხოლო დირექტორი არის ნურლან მამედოვი (28001089299).

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, მარნეული, სოფ. აღმამედლო.

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, გ.ნადარეიშვილის ქ9

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების **(მსს ფასს)** შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	აშშ დოლარი
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976
2021 წლის 1 იანვრისათვის	3,2766

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
საოფისე აღჭურვილობა	2-7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საექვო ვალების რეზერვი. საწარმო კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (FIFO) მეთოდით.

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4.ძირითადი საშუალებები:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 31 დეკემბერი 2021	-	-	-	43,686	100,375	144,061
შემოსვლა				13,988	51,017	65,005
გადაფასება		-		-	-	-
გასვლა		-		-	-	-
ისტორიული ღირებულება 31 დეკემბერი 2022	-	-	-	57,674	151,392	209,066
ცვეთა და გაუფასურება				(13,330)	(23,831)	(37,161)
წიგნო საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021	-	-	-	44,344	127,561	171,905
დარიცხული პერიოდის ცვეთა				(7,133)	(15,959)	(23,092)
გასვლა					-	-
31 დეკემბერი 2022				37,211	111,602	148,813
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021				30,356	76,544	106,900
31 დეკემბერი 2022				37,211	111,602	148,813

5. არამატერიალური აქტივები:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2020	1251	1251
შემოსვლა	-	-
გადაფასება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2021	1251	1251
ცვეთა და გაუფასურება	(282)	(282)
31 დეკემბერი 2021	969	969
პერიოდის ცვეთა	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022	969	969
		-
წმინდა საბალანსო ღირებულება		-
31 დეკემბერი 2021	1,251	1,251
31 დეკემბერი 2022	969	969

6. მარაგები

	2022	2021
ნედლეული და მასალები	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	287,187	132,761
სულ	287,187	132,761

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 4663010 ლარი (2021 წელს -3842685 ლარი)., იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში.

7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	386,965	242,379
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 21)	-	-
მიღებული ავანსები	-	-
სულ	386,965	242,379

8. ფული და ფულის ექვივალენტები:

	2022	2021
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	19,630	32,781
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	-	-
სულ	19,630	32,781

	2022	2021
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	39,561	4,224
საბანკო ოვერდრაფტი (შენიშვნა 10)	-	-
სულ	39,561	4,224

9.მიღებული სესხები:

	2022	2021
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
	-	-
მოკლევადიანი		
საბანკო ოვერდრაფტი	-	-
საბანკო სესხები	150,000	
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
	150,000	-
სულ სესხები	150,000	-

მოკლევადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2023 წლის 7 ნოემბერი. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 14% (2022 წელს 14%).

10.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	386,965	248,658
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
მიღებული ავანსები	-	-
სულ	386,965	248,658

11. საგადასახადო ვალდებულებები

	2022	2021
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	-
- განაწილებული მოგება	-	-
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	-
- სხვა	-	-
საშემოსავლო გადასახადები		
დღგ	11,331	6,215
ქონების გადასახადი	-	688
სულ	11,331	6,903

12. შემოსავალი

	2022	2021
საქონლის გაყიდვა	5,966,345	4,818,153
მომსახურების გაწევა	-	-
სულ	5,966,345	4,818,153

კომპანიის შემოსავალს შეადგენს საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2022	2021
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	4663010	3842685
სულ	4,663,010	3,842,685

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

16. ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და გამოსაცემად მზად არის 2023 წლის 19 სექტემბერს.

დირექტორი : _____/ნურლან მამედოვი/

